


10 YOUTUBE-ის ვიდეო კონტენტის და გავრცელების 5 გზა

Feedly.com


Feedly არის RSS-ის (Rich Site Summary) ანუ საიტზე გამოქვეყნებული სიის წამკითხავი პორტალი, plug-in-ითა და მობილური აპლიკაციით, რომელსაც აქვს შესაძლებლობა Youtube არხები ბლოგების ან ვებ-გვერდების მიხედვით მოძებნოს და დააჯგუფოს.



ტვიტერის და ფეისბუქის ინტერფეისების ნუსხის მსგავსად, ამ გვერდზეც შესაძლებელია სანდო არხების ერთად ორგანიზება შესაბამის ამბავთან მიმართებით და ახალი ვიდეოს ატვირთვის შემთხვევაში, რეგულარული განახლების მიღება.

YouTube Geosearch.com

აღნიშნული პროგრამა ვიდეოს ლოკაციისა და დროის მიხედვით ძებნის შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე გახსოვდეთ, იმისდა მიუხედავად, რომ ვიდეოზე სპეციფიკური ლოკაცია არის დათავგული და ის განსაზღვრულ დროს არის ატვირთული, არ ნიშნავს, რომ თავად ვიდეოს შინაარსი იმ დროისა და ადგილის შესატყვისია. შესაბამის გრაფაში თქვენთვის საინტერესო ადგილისა და დროის მონაკვეთის მითითებით სასურველი მასალის მოძიება შესაძლებელია, გაფართოებული ძიება კი საკვანძო სიტყვების მეშვეობით დამატებითი მონაცემების მოძიების შესაძლებლობას იძლევა.




YouTube Data Viewer

ვიდეოს შესახებ მეტა მონაცემების მისაღებად, გამოიყენეთ Amnesty International-ის პროგრამა Youtube Data Viewer, რომელიც ვიდეოს ბმულის მითითების შემთხვევაში, გვაწვდის ინფორმაციას ატვირთვის საათისა და თარიღის შესახებ. პროგრამა ასევე გვთავაზობს კადრების შემცირებულ გამოსახულებას (Thumbnail), რაც გუგლის ფოტოების საძიებო სისტემისთვის არის საჭირო. პროგრამა სასარგებლოა, როცა ვიდეოს პირველად ატვირთვის დროის დადგენაა საჭირო, Thumbnail-ის იმიჯების შერჩევა კი დაგეხმარებათ გაარკვიოთ, კიდევ სად მოხდა მსგავსი კადრების გამოყენება.



სურათზე: Youtube Data Viewer ბრიუსელში, მაალბეკზე მომხდარი ტერორისტული აქტის ვიდეოების ანალიზისთვის იქნა გამოყენებული.

The Chrome-ის პროგრამა RevEye, გამოსახულების ძიების საუკეთესო საშუალებაა, ვინაიდან ის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ კადრი მსოფლიოს მასშტაბით მრავალ მონაცემთა ბაზას დავუკავშიროთ: Google, Yandex, Bing და Baidu.



RevEye საძიებო არეალის გაფართოვებაში დაგვეხმარება.

Frame by Frame for YouTube

ყალბი ვიდეოების უმეტესობა ძალიან შორს არის სრულყოფილებისგან და ყურადღებით დაკვირვებამ ზოგჯერ შესაძლოა, მცირედი ხარვეზი გამოავლინოს. მაგალითად, ისეთი ცნობილი ფაბრიკაცია როგორცაა „ოქროსფერი არწივი ბავშვს იტაცებს“, Frame by Frame ანალიზის შედეგად იქნა მხილებული.

Frame by Frame – ბრაუზერის გაფართოვებული ვერსიაა, რომელიც ვიდეოს ნახვის დროს კონტროლის დამატებითი ფენის დამატების მეშვეობით, საშუალებას იძლევა, ყურების დროს სიჩქარე ვარეგულიროთ ან კადრებზე კლავიატურის გამოყენებით, ხელით ვიმუშავოთ.



¹ <https://www.youtube.com/watch?v=CE0Q904gtMI>